N 110 04/05/2020

ოქმიN4-4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის, აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსთა საკითხების კომისიების ერთობლივი სხდომის

2020 წელი, 29აპრილი

ქ. ოზურგეთი

11.00-12.00საათი

თავმჯდომარეობდნენ: ლ.ბიგვავა, გ.კილაძე -მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები.

ესწრებოდნენ: კომისიათა წევრები - ვლ.ჩავლეშვილი, ლ.ნინიძე, ლ.მგელაძე, ე.გორდელაძე, ვლ.ღლონტი, დ.ჭაკნელიძე, გ.ჩავლეშვილი, თ.ტუღუში, ლ.კილაძე, ლ.საჯაია, ბ.დოლიძე,ჯ.თავართქილაძე, ვლ.ღლონტი, მ.ჩხიკვიშვილი, ე.გორდელაძე, ნ.ორაგველიძე, ტ.არუშიძე, ხ.ცერცვაძე, პ.კიღურაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებლები: ლ.ბიგვავა, გ.კილაძე

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წელში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებლები: ლ.ბიგვავა, გ.კილაძე

მომხსენებელმა ლ.ბიგვავამ კომისათა წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ძირითადი პარამეტრები, თუმცა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ გაცილებით უკეთესი იყო მერიის მიერ 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რაც კრიტიკის საფუძველია, მით უმეტეს, როცა თავად ბიუჯეტი წარმატებითაა შესრულებული, კანონმდებლობა მოითხოვს ანგარიშის საჯაროდ გამოქვეყნებას განხილვისათვის, თანაც მოსახლეობისა და თითოეული გადამხდელისათვის გასაგებად, ამ კრიტერიუმებს ეს ანგარიში ვერ აკმაყოფილებს, მიუხედავად ამისა, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომისიათა წევრებს შესთავაზა წინადადება მხარი დაეჭირათ ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენისათვის. შემდეგ კომისიათა წევრებს გააცნო სამუშაო ჯგუფების მიერ შემუსავებული ერთობლივი დასკვნა, რომელსიც კონკრეტულად იყო საუბარი ანგარიშში არსებულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე. კომისიათა წევრებმა მხარი დაუჭირეს ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

მომხსენებელმა ლ ბიგვავამ კომისითა წევრებს ასევე გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წელში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში, აღნიშნა, რომ იგი წარმოდგენილია კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს კომისიების მიერ მომზადებული დასკვნები (თან ერთვის) და ერთობლივი სხდომის დღის წესრიგში წრმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტები შეტანილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად.

ლავრენტი ბიგვავა

კომისიის თავმჯდომარე
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

გოჩა კილაძე

კომისიის თავმჯდომარე
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია